



საქართველოს სახალხო დამცველმა „Bolt Food“-ის მხრიდან კურიერების მიმართ განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა

საქართველოს სახალხო დამცველმა 2021 წლის 14 ივნისს მიიღო რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც Bolt Food კურიერების მიმართ განსხვავებული მოსაზრებების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა. აღნიშნული რეკომენდაციის მიღებას წინ უძღოდა 2021 წლის 16 მარტს კომპანიის მიერ კურიერებისთვის შეტყობინების გაგზავნა ტარიფის შემცირების შესახებ. შეტყობინების მიღების შემდგომ კურიერების ნაწილმა 17 მარტს მიმართეს Bolt Food ადგილობრივ წარმომადგენლობას, რომელსაც განუმარტა, რომ პრობლემითი პირობების განსაზღვრის შესახებ მითითებას ესტონეთის ცენტრალური წარმომადგენლობისგან იღებდა. აღნიშნულის შემდგომ, კურიერებმა გადაწყვიტეს არ ჩაერთოთ აპლიკაცია და უარი განაცხადეს შეკვეთების მიღებაზე. 23 მარტს კურიერების ნაწილმა, მოლაპარაკების მიზნით, კვლავ უშედეგოდ მიმართა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



კომპანიის ადმინისტრაციას. ამავე დღეს პროტესტის საპასუხად, კომპანიამ დაახლოებით 25 კურიერს (მათ შორის განმცხადებლებს) აპლიკაციაზე წვდომა შეუზღუდა. პროგრამაზე წვდომის აკრძალვის მიზეზების შესახებ ე. წ. support ჯგუფმა 25 მარტს კურიერებს განუმარტა, რომ დაფიქსირდა მათი მონაწილეობის შემთხვევები იმ ჯგუფთან, რომელთა მხრიდანაც ადგილი ჰქონდა ორგანიზებულ აქტივობებს, რომლებმაც ხელი შეუშალა მათი სერვისის და კურიერების სამუშაო პროცესს.

საქმეში არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე, სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ განმცხადებელთა უფლებაში ჩარევის საფუძველს რეალურად წარმოადგენდა მათი განსხვავებული მოსაზრებები და მათი პროტესტი, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა დამსაქმებლისთვის. მოპასუხემ კი ვერ წარმოადგინა სათანადო და დამაჯერებელი არგუმენტაცია, რომელიც სახალხო დამცველს დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს გაუქარწყლებდა. შესაბამისად, კომპანიას დაევალა დაუყოვნებლივ აღუდგინოს კურიერებს „Bold Food“ აპლიკაციაზე წვდომა.

5 კურიერის ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში საია წარმოადგენდა.

ნეთგაზეთის ფოტო